



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

05. თებერვალი 2017 წ.

ქ. ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 0/828



მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე  
უარის თქმის შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2017 წლის 08 თებერვალს №342/01  
განცხადებით მომართა ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ და  
მოითხოვა ქ. ბათუმში, გენერალ ა. აბაშიძის ქ. №49/3 და გენერალ ა. აბაშიძის ქ. №49/2-  
ში მდებარე 1201.00 კვ.მ.; 1250.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკ-  
ვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები №05.31.01.302; №05.31.01.426)  
ვაკულტო ნაგებობის-მეჩეთის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ  
საკულტო ნაგებობის-მეჩეთის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ  
გამოყენების პირობების დამტკიცება.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორ-  
იების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმ-  
მართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50  
დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად განმცხადებლის მიერ წარმოდგნილი  
დოკუმენტაცია განიხილა დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განა-შენი-  
დოკუმენტაცია განიხილა დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განა-შენი-  
დოკუმენტაცია განიხილა დასახლებათა ტერიტორიების გადაწყვეტილების გათვა-  
ანების საკითხთა კომისიამ, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვა-  
ლისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2017 წლის 04 მაისს  
შესახებ“.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ  
სამშენებლო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6), ტექნიკური  
რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგუ-

ლირების მირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №59 დადგენილების შესაბამისად საცხოვრებელი ზონა 6 (უზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლები. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან, კერძოდ ფოტოგანშლიდან (რაც დადასტურდა ადგილზე დათვალიერებითაც) დგინდება, რომ სამშენებლო ტერიტორიის განაშენიანება ჩამოყალიბებულია საცხოვრებელი სახლებით (მათ შორის სჭარბობს მრავალბინანი საცხოვრებელი სახლები). ამ განაშენიანების მიხედვით აღნიშნულ კვარტალში დაგეგმარდა შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტებიც. მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ აღნიშნული კვარტლის უკვე მყარად ჩამოყალიბებული განაშენიანება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის კუთხით არ უნდა შეიცვალოს და მისი სამომავლოდ განვითარება უნდა გაგრძელდეს იმ ზონაში არსებული დომინირებული სახეობის - საცხოვრებელი სახლების მშენებლობებით.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკულტო ნაგებობა წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს. მოთხოვნილი საპროექტო ობიექტის გაბარიტების და მოცულობის საკულტო ნაგებობას ესაჭიროება განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა - გადაადგილების, ავტოტრანსპორტის მოძრაობის, გაჩერების და სხვა თვალსაზრისით, რასაც საკულტო ნაგებობის განთავსების შემთხვევაში დარჩენილი მიწის ნაკვეთი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, ქალაქ ბათუმის ტერიტორიის სტრატეგიული დაგეგმარების თვალსაზრისით ამ ეტაზზე მიმდინარეობს მიწათსარ-გებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წინასაპროექტო პლევის მომზადება. აღნიშნული გეგმის ფარგლებში ქალაქის სხვადასხვა ზონებისათვის შეიძლება დადგინდეს განსხვავებული ან მკვეთრად განსაზღვრული განაშენიანება, ურბანული განვითარების მიმართულებები და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 2017 წლის 04 მაისის №მ/825 ბრძანება უსახელმძღვანელობის მიწის ნაკვეთის შესახებ“ ბრძანების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ 2017 წლის 08 თებერვლის №342/01 განცხადება ქ. ბათუმში, გენერალ ა. აბაშიძის ქ. №49/3 და გენერალ ა. აბაშიძის ქ. №49/2-ში მდებარე 1201.00 კვ.მ.; 1250.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები



№05.31.01.302; №05.31.01.426) საკულტო ნაგებობის - მეჩეთის მშენებლობის მიზნით  
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე არ  
დაკმაყოფილდეს.

2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამარ-  
თლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგე-  
ნილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება მაღლაშია ხელმოწერისთანავე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ვ. ჭავჭავაძე

